საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. დეკემბრის 15. № 23 ფასი 15 კ.

შინაარსი

ფინანსები

290. გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის მენარჩენეთა ქონების აწერის, შეკვრის და გაყიდვის წესებისა, გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინება-მიუქცეველი სხვადასხვა სახის ქონების ნუსხისა და გადასახადისა და ჯარიმის გადაუხდელობისათვის კერძო საწარმოთა დახურვის წესების დამტკიცების შესახებ.

291. წესები გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის მენარჩენეთა ქონების აწერის, შეკვრის და გაყიდვის შესახებ.

292. ნუსხა სხვადასხვა სახის ქონებისა, რომელზედაც გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.

293. წესები გადასახადისა და ჯარიმის გადაუხდელობისათვის კერძო საწარმოთა დახურვის შესახებ.

ფინანსები

290. დადგენილება ს. კ. ს.

გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის მენარჩენეთა ქონების აწერის, შეკვრის და გაყიდვის წესებისა, გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინება-მიქცეული სხვადასხვა სახის ქონების ნუსხისა და გადასახადისა და ჯარიმის გადაუხდელობისათვის კერძო საწარმოთა დახურვის წესების დამტკიცების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილებით დამტკიცებული „გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების“ 21 და 32 მუხლებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 410-ბ) და ა/კსფსრ ტერიტორიაზე ამ დებულების შეფარდების წესის შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სა-

ხალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების 1-ლი კარის (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. 26 №-ი, მუხ. 204) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი აქტები:

ა) წესები გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის მენარჩენეთა ქონების აწერის, შეკვრის და გაყიდვის შესახებ;

ბ) ნუსხა სხვადასხვა სახის ქონებისა, რომელზედაც გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება;

გ) წესები გადასახადისა და ჯარიმის გადაუხდელობისათვის კერძო საწარმოთა დახურვის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 8-ის დადგენილება „იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადასახადისა, ბაჟისა და გამოსაღების ნარჩენის გადახდევინება“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-ი, მუხ. 80).

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. აგვისტოს 7.

ტფილისი.

---

291. წ ე ს ე ბ ი

გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის მენარჩენეთა ქონების აწერის, შეკვრის და გაყიდვის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ამ წესებით განსაზღვრულია წესი გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა სფეროში ნარჩენის იძულებითი გადახდევინებისა მენარჩენის ქონების აწერით, შეკვრით და გაყიდვით (გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 13 მუხლის „გ“ პუნქტი და 15 მუხლის „გ“ პუნქტი—სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 410-ბ).

2. ამ წესების მოქმედება ვრცელდება:

ა) იმ გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინებაზე, რაც უნდა ჩაირიცხოს საერთო-სახელმწიფო, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტში და რაც შეწერილი აქვს როგორც განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებას, საწარმოს თუ ორგანიზაციას, ისე კერძო პირს და საწარმოს;

ბ) თვითდაბეგვრის და სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელის ნარჩენის გადახდევინებაზე,—

მიუხედავად იმისა, ახდევინებს გადასახდელს ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ძისი ადგილობრივი ორგანოები, თუ სხვა უწყებათა ორგანოები, უკეთუ ნარჩენის გადასახდევინებლად სხვა რამ წესი არ არის დადგენილი.

3. კერძო პირისა და საწარმოს ქონებას ასწერს, შეჰკრავს და გასყიდის:

ა) ყველა გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის სფეროში, გარდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და წყლის გამოსაღებისა,—გადასახადთა აგენტი ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი, ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო სექტორის, ამ კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და სარაიონო თუ საქალაქო საფინანსო განყოფილების განკარგულებით, ხოლო იმ ადგილას, სადაც ნარჩენთა გადახდევინების ცენტრალიზაცია გატარებული არ არის,—გადასახადთა ინსპექტორი და, მისი მინდობილობით, მისი თანაშემწე და გადასახადთა აგენტი, სოფლად კი—აგრეთვე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და წევრი;

ბ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და წყლის გამოსაღების სფეროში—ის პირი, რომელიც საამისოდ უფლებამოსილია სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო საბჭოს თუ სასოფლო საბჭოს მიერ, ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით.

4. აწერა, შეკვრა და გაყიდვა იმ ქონებისა, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მათ შენაერთს, აგრეთვე სააქციო საზოგადოებას, რომელიც მოქმედობს სახელმწიფო თუ კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით, და ეს კაპიტალი 50%-ზე ნაკლები არ არის, მოხდება თვითეულ ცალკეულ შემთხვევაში სათანადო ცენტრალური და ადგილობრივი საფინანსო ორგანოს განსაკუთრებული დადგენილებით.

II. მენარჩენის ქონების აწერა, შეფასება და შეკვრა.

5. მენარჩენის ქონება აიწერება მენარჩენის, ან მისი რწმუნებული წარმომადგენლისა, ან მისი ოჯახის ერთ-ერთი ქმედობაუნარიანი წევრისა და სახლის სამოურაოს წარმომადგენლის, ხოლო უკეთუ სახლის სამოურაო არ არის—ორი თანამოწმის, სოფლად კი—სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის თანადასწრებით.

სახლის სამოურაოს და სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის თანადასწრებით ქონება შეიძლება აიწეროს იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ მენარჩენე, მისი წარმომადგენელი ან მისი ოჯახის ქმედობაუნარიანი წევრი ხანგრძლივად სხვაგან იმყოფებიან.

განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ქონების აწერას უნდა დაესწროს ამ დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი (ან მისი მაგიერი პირი). უკეთუ აღნიშნული პირი არ არის, ან იგი ხელის მოწერაზე უარს განაცხადებს, აქტი შესდგება მილიციის წარმომადგენლის თანადასწრებით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მენარჩენის ქონების აწერას უნდა დაესწროს სასოფლო საბჭოს წევრი, უკეთუ ქონებას სხვა ასწერს და არა თითონ ის ან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, და ორი თანამოწმე იმ სოფლის ცხოვრებთაგან, სადაც მენარჩენე ცხოვრობს.

6. ამწერს უფლება აქვს შევიდეს ყველა სადგომში, რაც მენარჩენეს ან მის ქონებას უჭირავს, და გასინჯოს მენარჩენის ქონების ყველა საცავი (სკივრი, კარადა, კომოდი და სხვ.), ხოლო მენარჩენე პირადად არ უნდა გაჩხრიკოს.

განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ქონების აწერის დროს ამწერს უფლება აქვს შევიდეს იმ საქონლის და სხვა ქონების შესანახად დანიშნულ ყველა სადგომში, რაზედაც შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

უკეთუ მენარჩენე არ შეუშვებს ამწერს სადგომში, რომელიც მას ან მის ქონებას უჭირავს, ან არ გაახსნევინებს ქონების საცავს, ამწერი გახსნის ამ სადგომს თუ საცავს მილიციის წარმომადგენლისა და ორი თანამოწმის თანადასწრებით, ხოლო შეადგენს ამის თაობაზე სათანადო აქტს.

7. მენარჩენის ქონება აიწერება იმდენი, რამდენიც საკმარისია, რომ დაიფაროს ნარჩენის თანხა საურავით, ხოლო სათანადო შემთხვევაში—ჯარიმითაც და გადახდევინების ხარჯის დასაფარავად დარიცხული თანხით (მუხ. 8). ეს თანხა არ დაირიცხება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენის გადახდევინების დროს.

8. გადახდევინების ხარჯის დასაფარავად დაირიცხება:

ა) აწერის თანხის 1%, როდესაც ნარჩენი უნდა გადახდეს განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებას, საწარმოს თუ ორგანიზაციას, ან როდესაც გადასახადის ნარჩენი უნდა გადახდეს ისეთ პირს, რომელსაც საშემოსავლო გადასახადი შეწერილი აქვს 1 ან 1ა' განრიგების მიხედვით;

ბ) აწერის თანხის 5%, როდესაც ნარჩენი უნდა გადახდეს სხვა კატეგორიის მენარჩენეთ.

უკეთუ ნარჩენი გადახდილ იქნება ქონების აწერის შემდეგ, ხოლო გადახდევინების სხვა დონისძიებათა მიღებამდე, დანარიცხი თანხა ამა მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნული კატეგორიის მენარჩენეთ შეუმცირდებათ 3%-მდე.

9. აწერაში შეიტანება მენარჩენის კუთვნილი ქონება, გარდა იმისა, რაზედაც ნარჩენის გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს თანახმად გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლის წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 № ი, მუხ. 410-ბ) გამოცემული ნუსხისა (საქართველოს სსრ კან. კრ. 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 292).

მენარჩენის კუთვნილი შენობა და აღნაგობის უფლება აიწერება უკანასკნელ რიგში, უკეთუ მენარჩენეს არა აქვს სხვა რამ ქონება, რაზედაც შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

საკრედიტო დაწესებულებაში დაგირავებული ქონება აიწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მენარჩენეს არა აქვს სხვა ქონება, რაზედაც შეიძლება გადახდევინების მიქცევა, და უკეთუ, ამასთანავე, დაგირავებული ქონების ღირებულება საკრედიტო დაწესებულების პრეტენზიას აღემატება.

10. აწერის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს მენარჩენის განცხადება იმის შესახებ, თუ რომელ საგნებზე ჰსურს მას გადახდევინების მიქცევა პირველ რიგში, უკეთუ ეს განცხადება არ არღვევს გადახდევინების ინტერესს იმ მხრით, რომ ქონება რაც შეიძლება წარმატებით გაიყიდოს.

11. უკეთუ მესამე პირი განაცხადებს, რომ მას აქვს ასაწერი ქონების საკუთრების უფლება, ეს განცხადება დამადასტურებელი დოკუმენტებით და ქონების ამწერის დასკვნით დაერთვის აწერას. უკეთუ ის ორგანო, რომელიც აწერას ამტკიცებს (მუხ. 27), უარს იტყვის აწერიდან სადავო ქონების გამორიცხვაზე, საკითხი ამ ქონების საკუთრების უფლების შესახებ გადაწყდება სასამართლო წესით.

12. ქონების აწერის დროს ამწერი ვალდებულია ჰკითხოს მენარჩენეს, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია, სისხლის სამართლის წესისამებრ პასუხისმგებლობის რიდით (სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხ.), განუცხადოს ამწერს—რა დავალიანება ირიცხება მასზე სამუშაო ხელფასის და სხვა პრეტენზიების სახით, რაც პრეტენზიების დაკმაყოფილების რიგრიგობის კანონით პირველ კატეგორიას მიეკუთვნება (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309 მუხლის „ა" პუნქტი).

უკეთუ მენარჩენემ ეს განაცხადა, ან ამწერმა ეს იცის, იგი ვალდებულია სამი დღის ვადაზე აწერის დღიდან აცნობოს მენარჩენის სათანადო კრედიტორებს, რომ ქონება აწერილია.

იმ კერძო პირთა ქონების აწერა, რომელნიც დაქირავებულ შრომას იყენებენ, უნდა ეცნობოს სოციალური დაზღვევის ადგილობრივ სალაროებს ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ცნობა იმის შესახებ, რომ მენარჩენეს აქვს დავალიანება სოციალური დაზღვევის სფეროში.

13. აწერასთან ერთად უნდა მოხდეს აწერილი ქონების შეფაება, თვითეული საგნის ცალ-ცალკე. ქონებას შეაფასებს ამწერი.

14. ქონება, გარდა ქვემოაღნიშნულისა, შეფასდება სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის კომერციული ფასების მიხედვით, რაც უწყებულ ადგილას არსებობს.

საქონელი, რაც ფართო მოხმარების საგანს ან სასურსათო საგანს-აკ წარმოადგენს, შეფასდება არა უმეტეს საშუალო საბითუმო ფასებისა, [illegible] სებობს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში, ხოლო სოფლის მეურნეობის საგნები—საკონვენციო ფასების მიხედვით.

შენობა შეფასდება მისთვის დაწესებულ[illegible] საინვენტარიზაციო ან სადაზღვეო შეფასების მიხედვით, ხოლო იქ, სადაც ეს შეფასება არ არის,—საფინანსო ორგანოების შეფასების მიხედვით.

შეფასების დროს ქონების ღირებულებას შეიძლება გამოაკლდეს 20%-მდე, ხოლო შენობის ღირებულებას—10%-მდე.

15. განსაკუთრებით ძვირფასი, საიშვიათო ან ისეთი, საგნების შესაფასებლად, რომელთაც ჩვეულებრივი საბაზრო ფასი არა აქვთ, შეიძლება მიწვეულ იქნენ მცოდნე პირი—ექსპერტები.

მენარჩენის მოთხოვნით ექსპერტები, მისი ხარჯით, მიიწვევიან სხვა აწერილი ქონების შესაფასებლადაც.

ექსპერტებს ამწერის მოთხოვნით წარავლინებენ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები.

16. თვითეულ აწერილ ნივთს ქონების ამწერი მიამაგრებს პლომბს ან ლუქის ბეჭდის ანაბეჭდს მუყაოზე, თანაც ამ უკანასკნელზე აღნიშნავს ამ ნივთის რიგის ნომერს აწერის აქტის მიხედვით. ეს პლომბი თუ ანაბეჭდი უნდა დარჩეს ნივთზე იმ მომენტამდე, ვიდრე აწერილი საგნები საბოლოოდ გადაიცემოდეს სარეალიზაციოდ.

17. ქონების აწერის აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) ამწერის თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი;

ბ) აწერის დრო და ადგილი;

გ) აწერის საფუძველი;

დ) მენარჩენის სახელწოდება (გვარი, სახელი და მამის სახელი ან ფირმა);

ე) რა სახის ნარჩენია; ნარჩენის, საურავის და ჯარიმის თანხა, აგრეთვე თანხა დანარიცხისა გადახდევინების ხარჯის დასაფარავად—ცალ-ცალკე;

ვ) თვითეული აწერილი საგნის სახელწოდება, ხოლო თუ საჭიროა—დამახასიათებელი ნიშნებიც (მაგალითად, „ტანისამოსის კარადა მუხისა, სარკიანი“ და სხვ.), მარკა, ვარგისობა;

ზ) თვითეული აწერილი საგნის შეფასება;

თ) შემნახველის (მუხ. 22) გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი, აგრეთვე ადგილი, სადაც არის შესანახად ჩაბარებული ქონება;

ი) განცხადება იმის შესახებ, რომ აკრძალულია ქონების გასხვისება ან სხვა ადგილას გადატანა გადახდევინების ორგანოების ნებადაურთველად;

კ) აწერის განსაჩივრების წესისა და აწერილი ქონების შენახვის საქმეში მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ახსნა-განმარტება;

ლ) მხარეთა და აწერის დროს დამსწრე პირთა საჩივრები და შენიშვნები და ამწერის განკარგულება და დასკვნა ამის შესახებ;

ბ) მენარჩენის განცხადება მისი დავალიანების შესახებ იმ გადასახდელთა სფეროში, რაც აღნიშნულია ამა წესების 12 მუხლში;

ნ) თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი ფიზიკურ თანამდებობის პირთა, რომელნიც აწერას დაესწრენ, აგრეთვე თანამოწმეთა და ექსპერტთა;

ო) ამწერის, მენარჩენის, ქონების შემნახველის და აწერის დროს დამსწრე პირების ხელმოწერა.

18. აწერის აქტის დედანი რჩება საქმეში, ასლი კი ხელწერილის ჩამორთმევით მიეცემა მენარჩენეს, მის რწმენებულ წარმომადგენელს ან მისი ოჯახის ქმედობაუნარიან წევრს (მუხ. 5), ხოლო უკეთუ ისინი არ არიან, გამოიკიდება იმ ადგილას, სადაც აწერილი ქონებაა. უკეთუ დანიშნულ იქნა ქონების განსაკუთრებული შემნახველი (მუხ. 22), აწერის აქტის ასლი მასაც მიეცემა.

19. ქონების აწერის აქტის შედგენით და მენარჩენისა და შემნახველისათვის (უკეთუ იგი განსაკუთრებით დანიშნულია) იმის გამოცხადებით, რომ აკრძალულია ქონების გასხვისება ან სხვა ადგილას გადატანა გადახდევინების ორგანოების ნებადაურთველად, ხდება ქონების შეკვრა.

20. მენარჩენის კუთვნილი საქალაქო შენობის ან აღნაგობის უფლების შეკვრა ეცნობება, სათანადო სამყოფელი ადგილის მიხედვით, სანოტარო კონტორას, სადაც სწარმოებს შენობისა და აღნაგობის უფლების შეკვრის რეგისტრაცია, თანაც უნდა აღინიშნოს: ა) მენარჩენის სახელწოდება, ბ) ქონების მდებარეობის ადგილი და გ) გადახდევინების თანხა და საფუძველი.

21. საფონდო და სავალუტო ფასეულობას ქონების ამწერი ჩამოართმევს მენარჩენეს და ჩააბარებს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას.

22. დანარჩენი აწერილი ქონება კერძო პირისა ან საწარმოსი გადაეცემა შესანახად მენარჩენეს. უკეთუ მენარჩენე შენახვაზე უარს იტყვის, ან იგი წასულია სხვაგან, ან და არის ისეთი გარემოება, რის გამოც აწერილი ქონების შენახვა მას ვერ მიენდობა, ამწერი ჩააბარებს მას შესანახად სხვა პირს.

თანამდებობის პირსა და ორგანოს, რომელნიც აწერას ამტკიცებენ (მუხ. 27), შეუძლიათ აწერის დროს დანიშნული შემნახველი სხვა პირით შეცვალონ.

23. მენარჩენეს, რომელსაც ქონება შესანახად ჩაბარდა, შეუძლია ისარგებლოს იგი, უკეთუ ქონება ისეთი თვისებისაა, რომ სარგებლობა მის ღირებულებას ვერ შეამცირებს. უკეთუ საჭიროა ქონების სარგებლობის აკრძალვა, ეს აკრძალვა აღნიშნულ უნდა იქნეს აწერის აქტში.

24. აწერილი და შესანახად ჩაბარებული ქონების გაფლანგვა იდევნება სისხლის სამართლის წესით, და ზარალი გადახდება გამფლანგველს.

25. შემნახველი, უკეთუ ასეთად დანიშნულია არა მენარჩენე, ან მისი ოჯახის წევრი, ან და მის რჩენაზე მყოფი პირი, მიიღებს გასამრჯელოს შენახვისათვის; ეს გასამრჯელო გადახდილ უნდა იქნეს გადახდევინების ხარჯის დასაფარავად დარიცხული თანხიდან შემდეგი რაოდენობით:

ა) ქონების შენახვისათვის არა უმეტეს, ვიდრე ერთი თვის განმავლობაში:

შეფასების თანხის პირველ 50 მანეთზე	ამ თანხის	5%
თანახაზე 51 მანეთიდან 250 მანეთამდე	„ „	2%
251 მანეთსა და მეტ თანხაზე	„ „	1%

ბ) ერთ თვეზე მეტ ხანს შენახვისათვის მიმატებულ უნდა იქნეს 0,25% იმ თანხისა, რაც შემნახველს ერგება შენახვის პირველი თვის განმავლობაში;

გ) ცხოველთა შენახვისათვის სასყიდელი გადიდდება 50%-ით იმ თანხასთან შედარებით, რაც შემნახველს ერგება „ა“ და „ბ“ პუნქტის თანახმად.

უკეთუ ქონების შენახვისათვის საჭიროა რაიმე ხარჯი, მაგალითად, მცველის დაქირავება, განსაკუთრებული სადგომი, ცხოველის კვება, ქონების გადაზიდვა და სხვ., ეს ხარჯი ცალკე აინაზღაურება.

26. უკეთუ მენარჩენის ქონება, რომელიც მესამე პირის განკარგულებაშია (მაგალითად, ქონება, რომელიც გზაშია), არ შეიძლება შეკრულ იქნეს, გადამხდევინებელი ორგანოები მიიღებენ სათანადო ღონისძიებას იმისათვის, რომ ეს ქონება არ მიეცეს მენარჩენეს მათი თანხმობის გარეშე. უკეთუ მომქმედი წესების თანახმად მესამე პირს, რომლის განკარგულებაშიაც მენარჩენის ქონებაა, არ შეუძლია აღნიშნული მოთხოვნის შესრულება, თვით მენარჩენეს ჩამოერთმევა ვალდებულება, რომ ეს ქონება, თუ მასზე მიქცეულ იქნა გადახდევინება, დარჩება სრულიად ხელუხლებელი და დაცული.

27. სამი დღის ვადაზე აწერის შემდეგ, უკეთუ მენარჩენე არ გადაიხდის ნარჩენს და გადახდევინების ხარჯის დასაფარავად დარიცხულ თანხას, ამწერი წარუდგენს აწერის აქტს დასამტკიცებლად:

ა) როცა აწერილი და შეკრულია კერძო პირის და საწარმოს ქონება,— გადახდევინების განყოფილების გამგეს ან მის მონაცვლე თანამდებობის პირს, ხოლო იმ ადგილას, სადაც ნარჩენის გადახდევინება ცენტრალიზებული არ არის,—გადასახადთა ინსპექტორს;

ბ) როცა აწერილი და შეკრულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და წყლის გამოსაღების მენარჩენის ქონება,—სარაიონო ან საქალაქო საფინანსო განყოფილებას ან სასოფლო საბჭოს;

გ) როცა აწერილი და შეკრულია სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათი შენაერთის ქონება და აგრეთვე სახელმწიფო თუ კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედი საავტიო საზოგადოების ქონება,—სათანადო ცენტრალურ, სარაიონო ან საქალაქო საფინანსო ორგანოს.

28. საფინანსო ორგანო (მუხ. 27) თუ სასოფლო საბჭო სამი დღის განმავლობაში აწერის აქტის მიღებიდან ან დაამტკიცებს ამ აქტს მთლიანად თუ მის ნაწილს და გასცემს ნებართვას აწერილი ქონების გაყიდვისათვის, ან და, უკეთუ აწერის აქტში შეუსაბამობა რამ აღმოჩნდა, გააუქმებს აწერას და მისცემს სათანადო წინადადებას გადახდევინების შემდგომი წარმართვის შესახებ. ამა მუხლში

აღნიშნული განკარგულება დაუყოვნებლივ ეცნობება ქონების ამწერს სათანადოდ შესასრულებლად და აგრეთვე, უკეთუ მენარჩენეს შეტანილი აქვს საჩივარი აწერის გამო, მისთვის შესატყობინებლად ხელწერილის ჩამორთმევით.

III. მენარჩენის ქონების გაყიდვა.

29. მას შემდეგ, როდესაც მიღებულ იქნება შეტყობინება აწერილი ქონების გაყიდვის ნებართვის შესახებ, და აგრეთვე როდესაც ძალაში შევა განსაჩივრებული განკარგულება თანამდებობის პირისა თუ ორგანოსი, რომელიც აწერას ამტკიცებს, მოხდება აწერილი ქონების გაყიდვა.

30. აწერილი ქონების შეკვრასა და გაყიდვას შორის უნდა განვლოს დრომ არა ნაკლებ ხუთი დღისა და არა უმეტეს ერთი თვისა.

ამ წესის გამონაკლისი დადგენილია მხოლოდ მალფუჭებადი საგნებისათვის, რომელთა რეალიზაცია მოხდება დაუყოვნებლივ იმ ორგანოს თუ თანამდებობის პირის განსაკუთრებული დადგენილებით, რომელიც აწერას ამტკიცებს.

31. მენარჩენის აწერილი ქონება, ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული გამონაკლისის გარდა, გაიყიდება განსაზოგადოებული სექტორის სათანადო დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის მეშვეობით, რისთვისაც ეს ქონება გადაეცემა ან დაენარჩუნება მათ 14 მუხლში იღნიშნულ ფასად ან გასაყიდად საკომისიო საფუძველზე.

32. მენარჩენის ქონების რეალიზაციის დროს:

ა) საფონდო და სავალუტო ფასეულობა მიიქცევა გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 29 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი მუხ. 410-ბ), სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესისამებრ (იხ. დანართი);

ბ) საგნები, რასაც სპეციალური ექსპერტიზა სცნობს სიძველედ ან ხელოვნების საგნებად, რომელთაც სამუზეუმო და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ, და რომელნიც სპეციალურად უნდა იქნენ აღრიცხული, გადაეცემა უსასყიდლოდ საქართველოს სსრ სამუზეუმო და სამეცნიერო დაწესებულებათა გამგებლობაში; ამასთანავე ნარჩენი ჩამოიწერება ამ საგნების ღირებულების რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს ექსპერტიზა და დაამტკიცებს საფინანსო განყოფილების გამგე;

გ) თესლი მიიქცევა, გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 30 მუხლის შესაბამისად, კოლმეურნეობის ან სასოფლო საბჭოს ადგილობრივ სათესლე ფონდში, მისი ღირებულების აუნაზღაურებლად, ხოლო ნარჩენი ჩამოიწერება იმ თანხის რაოდენობით, რაც თესლი ეღირება ამა თუ იმ ადგილას გადაცემის დღისათვის დადგენილი სადამზადებლო ფასებით;

დ) პურის პროდუქტები გადაეცემა პურის დამმზადებელ ორგანიზაციებს, ნაღდი ანგარიშგასწორებით იმ სადამზადებლო ფასების მიხედვით, რაც ამა თუ იმ ადგილას იქნება პროდუქტების გადაცემის დღეს;

ე) სოფლის მოსახლეობის აწერილი ოთხფეხი საქონელი გადაეცემა „ზაგოტსკოტ"-ის ორგანოებს არსებული საკონვენციო ფასების მიხედვით;

ვ) მალფუჭებადი პროდუქტების რეალიზაცია მოხდება იმ გზით, რომელიც გადაეცემა განსაზოგადოებული სექტორის საწარმოს ან გაიყიდება სამეურნეო წესით.

33. საქონლის გადაცემა განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციისათვის მოხდება საამისოდ უფლებამოსილ პირთა მიერ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო ან სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის თანადასწრებით.

გადაცემის შესახებ შესდგება განსაკუთრებული აქტი, რომელშიაც უნდა აღინიშნოს:

ა) გადაცემის დრო და ადგილი;

ბ) მენარჩენის სახელწოდება (გვარი, სახელი და მამის სახელი ან ფირმა);

გ) საქონლის გადაცემის, მიმღების და აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო ან სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი;

დ) აწერის აქტის შედგენის დრო და ორგანო, რომელმაც იგი დაამტკიცა;

ე) გადასაცემი საქონლის ნომრები აწერის მიხედვით, საქონლის რაოდენობა ან წონა, საეტიკეტო ფასები და ღირებულების თანხა;

ვ) ამა მუხლის „გ" პუნქტში აღნიშნულ პირთა ხელმოწერა.

34. გადასაცემი საქონლის ღირებულებას განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულება, საწარმო თუ ორგანიზაცია შეიტანს საქონლის გადაცემის გაფორმებისას.

განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციისათვის გადაცემული საქონლის შეფუთვისა და გადაზიდვის ხარჯი დაეკისრება ამ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას.

35. ქონება, რომელიც რეალიზებულ არ იქნა წინა მუხლების წესისამებრ, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით. საჯარო ვაჭრობა მოხდება ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული წესების დაცვით.

შენიშვნა. საჯარო ვაჭრობით არ შეიძლება გაიყიდოს ქონება, აღნიშნული სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 23 მუხლის მე-2 ნაწილის წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1932 წ., 69 №-ი, მუხ. 410-ბ) შედგენილ ნუსხაში იმ ქონებისა, რაც აუცილებლად გაყიდულ უნდა იქნეს განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებისა, საწარმოს ან ორგანიზაციის მეშვეობით (იხ. დანართი).

36. ის პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს საჯარო ვაჭრობის ჩატარება, გამოაცხადებს საჯარო ვაჭრობას არა უგვიანეს, ვიდრე სამი დღის ადრე ვაჭრობისათვის დანიშნულ დრომდე.

37. ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის ყველა შემთხვევაში გამოცხადებულ უნდა იქნეს განცხადება საჯარო ვაჭრობის შესახებ იმ ადგილას, სადაც ვაჭრობა მოხდება, ვაჭრობის მწარმოებელი თანამდებობის პირის ბინაში, იმ ადგილებში, სადაც უფრო მეტი ხალხი არის ხოლმე, ხოლო სოფლად — სასოფლო საბჭოს სადგომშიაც.

განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) გასაყიდი ქონება, ვისია იგი, და ქონების შეფასება;

ბ) გაყიდვის ადგილი (ქალაქი, ქუჩა, სახლი, სოფელი) და დრო (წელიწადი, თვე, რიცხვი, საათი).

იმ ქონების გაყიდვის შესახებ, რომელიც შეფასებულია 1.000 მანეთზე მეტად, განცხადება, ამის გარდა, მოთავსებულ უნდა იქნეს ადგილობრივ საარაიონო ოფიციალურ გაზეთში, უკეთუ ასეთი არის. მენარჩენეს შეუძლია ითხოვოს, რომ პუბლიკაცია, მისი ხარჯით, მოხდეს სხვა გაზეთებშიაც და აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, როცა ქონება 1.000 მანეთზე ნაკლებ თანხად არის შეფასებული.

გარდა განცხადების გამოკიდვისა და დაბეჭდვისა, საჯარო ვაჭრობის მწარმოებელი თანამდებობის პირი იხმარს სხვა ღონისძიებასაც, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით უზრუნველჰყოფს იმას, რომ რამდენადაც შეიძლება მთელმა ადგილობრივმა მოსახლეობამ გაიგოს ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა.

38. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ მწრომელთ.

39. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო და სასოფლო საბჭოს წევრი, საფინანსო ორგანოს მოსამსახურე, ის პირი, რომელიც მონაწილეობას იღებდა გასაყიდი ქონების აწერაში, ან რომელიც ჰყიდის მას, მილიციის სამსახურში მყოფი პირი და აგრეთვე ამა მუხლში ჩამოთვლილ პირთა ოჯახის წევრები.

40. საჯარო ვაჭრობის დღეს მსურველს შეუძლია დაათვალიეროს გასაყიდი საგნები. შენობისა და ნარგავის (ბაღი, ბოსტანი და სხვ.) დათვალიერება შეიძლება სამი დღით ადრე ვაჭრობის დაწყებამდე.

41. ის პირი, რომელსაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს საქალაქო შენობის საჯარო ვაჭრობით გაყიდვაში, ვალდებულია წარადგინოს სანიტარო კონტორის და ადგილობრივი კომუნალური განყოფილების ცნობა იმის შესახებ, რომ არც მას, არც მის მეუღლეს და არც მის არასრულწლოვან შვილს არა აქვს ამ ადგილას რაიმე შენობა; მან აგრეთვე უნდა მისცეს ხელწერილი, რომ არც მას და არც მისი ოჯახის აღნიშნულ წევრებს არა აქვთ შენობა რომელსამე სხვა ადგილას.

ამ მუხლში აღნიშნული ცნობისა და ხელწერილის გარდა, შენობის ან აღნაგობის უფლების საჯარო ვაჭრობით გაყადვაში მონაწილეობის მიღების მსურველი ვალდებულია შეიტანოს საწინდარი შენობის ან აღნაგობის უფლების შეფასების 10%-ის რაოდენობით.

საწინდრის შეტანისაგან განთავისუფლდება განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია.

42. საჯარო ვაჭრობა უნდა დაიწყოს 12 საათზე, და იგი ხანგრძლივობა განგრძობილ იქნეს უფრო მეტად, ვიდრე იმავე დღის 20 საათამდე.

43. უკეთუ 12 საათისათვის ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველი არავინ გამოცხადდა, ან მხოლოდ ერთი მყიდველი გამოცხადდა, გაყიდვის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაელოდოს მყიდველების გამოცხადებას 14 საათამდე.

44. საჯარო ვაჭრობა, რომელიც ერთ დღეს არ გათავდება, განიგრძობა მომდევნო დღეებში მანამდე, ვიდრე არ გათავდება.

45. საჯარო ვაჭრობის გახსნამდე ვაჭრობის მწარმოებელი პირი შეადარებს აწერილობას გასაყიდ ქონებას და, უკეთუ აღმოაჩენს ქონების გაფლანგვას, გამოცვლას, გაუვარგისებას, გაფუჭებას ან მოსპობას, შეადგენს სათანადო აქტს, რომელიც წარიმართება დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

შენიშვნა. უკეთუ აღმოჩნდა გაფლანგვა, გამოცვლა, გაუვარგისება, გაფუჭება ან მოსპობა გასაყიდი ქონების ნაწილისა, ეს საჯარო ვაჭრობას ვერ შეაჩერებს. ამ შემთხვევაში გაიყიდება ის ქონება, რაც წინანდელი სახით დარჩა, ხოლო გამოცვლილი და გაუვარგისებული საგნები არ გაიყიდება, არამედ შეინახება ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად სასამართლოს პროცესის დამთავრებამდე.

46. მენარჩენეს უფლება აქვს აღნიშნოს, რა რიგრიგით უნდა გაიყიდოს ქონება

47. საჯარო ვაჭრობის დროს, მისი მწარმოებელი პირი გამოაცხადებს თვითეული საგნის ფასს, რაც დადგენილ იქნა შეფასებით, და შეეკითხება მყიდველებს—„ვინ იძლევა მეტს"-ო? მყიდველების მიერ შეძლეულ ფასს საჯარო ვაჭრობის მწარმოებელი პირი აცხადებს სიტყვიერად, ვიდრე ფასის მატება გრძელდება.

როცა ფასის მატება შეწყდება, საჯარო ვაჭრობის მწარმოებელი პირი სამჯერ განიმეორებს სიტყვებს—„ვინ იძლევა მეტს"-სო? თუ მესამედ გამეორების შემდეგ ფასი არავინ მოუმატა, საჯარო ვაჭრობა გათავებულად ჩაითვლება.

48. გასაყიდი საგანი დაჰრჩება იმას, ვინც ყველაზე დიდი ფასი შეაძლია.

49. უკეთუ ქონების ნაწილის გაყიდვით მიღებულ იქნა ისეთი თანხა, რაც საკმარისია ნარჩენისა, გადახდევინების ხარჯის დასაფარავად დარიცხული თანხისა და განცხადებული პრეტენზიების დაფარვისათვის, ქონების დანარჩენი ნაწილის გაყიდვა შეწყდება, და იგი პატრონს დაებრუნება.

50. საჯარო ვაჭრობის მწარმოებელი პირი შეადგენს სავაჭრო ფურცელს, რომელშიაც აღინიშნება:

ა) ვინ აწარმოებდა საჯარო ვაჭრობას, როდის და სად;

ბ) გასაყიდი საგნების ნომრები აწერილობის მიხედვით და მათი სახელწოდება მოკლედ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უმაღლესი ფასი, რაც შეძლეულ იქნა ვაჭრობის დროს;

დ) მყიდველის სახელწოდება (გვარი, სახელი და მამის სახელი ან ფირმა) და მისამართი;

ე) დაესწრო თუ არა გაყიდვას ქონების პატრონი ან მისი მონაცვლე;

ვ) რა დარჩა გაუყიდავი იმ ქონებიდან, რაც დანიშნული იყო გასაყიდად.

51. მყიდველი ვალდებულია, როცა გასაყიდი საგანი მას დაჰრჩება, დაუყოვნებლივ შეიტანოს ბე არა ნაკლებ, ვიდრე მის მიერ უკანასკნელად შეძლეული ფასის 20%-ისა. მყიდველი, რომელიც აღნიშნულ თანხას არ შეიტანს, ჩამოცილებულ უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობაში შემდგომი მონაწილეობისაგან.

ფასის დანარჩენი ნაწილი შეიტანება არა უგვიანეს, ვიდრე მომდევნო სამუშაო დღეს.

52. საწინდარი, რასაც შეიტანს ის პირი, რომელსაც დაჰრჩა საჯარო ვაჭრობით გაყიდული შენობა ან აღნაგობის უფლება (მუხ. 41), ჩაირიცხება ნასყიდობის ფასში.

საწინდარი ბეში (მუხ. 51) არ ჩაირიცხება.

დანარჩენი თანხა მყიდველმა უნდა შეიტანოს არა უგვიანეს შვიდი დღისა საჯარო ვაჭრობის გათავების დღიდან, ვაჭრობის დღის ჩაუთვლელად.

დანარჩენ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს შენობის ან აღნაგობის უფლების საჯარო ვაჭრობით გაყიდვაში, საწინდარი დაებრუნებათ დაუყოვნებლივ ვაჭრობის გათავებისთანავე.

53. უკეთუ მყიდველი დადგენილ ვადაზე არ შეიტანს სრულად საჯარო ვაჭრობაზე შეძლეულ თანხას, მის მიერ შეტანილი ბე (მუხ. 51), ხოლო შენობის ან აღნაგობის უფლების გაყიდვის დროს, ბეს გარდა, აგრეთვე საწინდარიც (მუხ. 41) მიიქცევა სახელმწიფოს შემოსავლად.

მყიდველის მიერ შეტანილი ბე ან ბეც და საწინდარიც მიიქცევა სახელმწიფოს შემოსავლად იმ შემთხვევაშიაც, თუ გამოირკვა, რომ მყიდველი უკანონოდ იღებდა მონაწილეობას საჯარო ვაჭრობაში, ან მას არ ჰქონდა შენობის შეძენის უფლება.

54. გაყიდული საგნები გადაეცემა მყიდველს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი სრულად შეიტანს იმ თანხას, რომელიც საჯარო ვაჭრობით მასზე ირიცხება.

55. საჯარო ვაჭრობით შენობის ან აღნაგობის უფლების მყიდველ პირს მიეცემა საჯარო ვაჭრობით გაყიდვის აქტის ასლი, რომლის ძალითაც მას აქვს უფლება სანოტარო აქტის შედგენისა შენობის თუ აღნაგობის უფლების შეძენის შესახებ.

საჯარო ვაჭრობით შენობის ან აღნაგობის უფლების ყიდვა შემოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით და უნდა გატარდეს სანოტარო არქივის და კომუნალური განყოფილების რეგისტრაციაში; უამისოდ ყიდვა ბათილად ჩაითვლება.

56. საჯარო ვაჭრობა არაშემდგარად ჩაითვლება:

ა) უკეთუ სავაჭროდ არავინ გამოცხადდა, ან გამოცხადდა ერთი პირი;

ბ) უკეთუ გასაყიდი საგნის შეფასებას გამოცხადებულთაგან არავინ დაუმატა რამ;

გ) უკეთუ ვაჭრობის გათავებისას მყიდველი სრულად არ გადაიხდის მთელ თანხას.

57. უკეთუ საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, აწერილი ქონება დაჰრჩება სათანადო საფინანსო ორგანოს, რომელიც მოახდენს მის რეალიზაციას ერთი თვის ვადაზე ვაჭრობის შემდეგ, ყველა შესაძლებელი კანონიერი საშუალებით.

58. აწერილი ქონების გასაყიდად მეორე საჯარო ვაჭრობა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსმკუთრებულ შემთხვევაში, უკეთუ არის განსაზღვრული ნიშნები, რომელთა მიხედვითაც მოსალოდნელია, რომ მეორე საჯარო ვაჭრობა უკეთესი შედეგით გათავდება, ვიდრე ქონების რეალიზაცია სამეურნეო წესით.

59. მეორე საჯარო ვაჭრობა დაინიშნება არა უადრეს ხუთი დღისა და არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა პირველი საჯარო ვაჭრობის შემდეგ; ამასთანავე მეორე ვაჭრობა, თუ საჭირო იქნა, შეიძლება სხვა ადგილას დაინიშნოს.

60. მეორე საჯარო ვაჭრობა მოხდება პირველი საჯარო ვაჭრობისათვის დადგენილი წესების თანახმად, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი დაიწყება ამ ვაჭრობაზე შეძლეული პირველივე თანხიდან და შემდგარად ჩაითვლება, თუნდაც უმაღლესი შეძლეული თანხა ქონების შეფასებაზე ნაკლები იყოს.

61. შენობა, რომელიც არ გაიყიდა, გადაეცემა, გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 31 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 410-ბ) უსასყიდლოდ: ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს, ხოლო სოფლებში—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ან სასოფლო საბჭოებს; ამასთანავე ნარჩენი ჩამოიწერება ისეთი თანხის რაოდენობით, რაც არ უნდა აღემატებოდეს შენობის შეფასებას.

62. მენარჩენეს, მისი მოთხოვნით, უნდა მიეცეს სავაჭრო ფურცლის ასლი.

63. უკეთუ მენარჩენე სავსებით გადაიხდის ნარჩენს, საურავით და გადახდევინების ხარჯის დასაფარავად დარიცხული თანხით, მანამდე, სანამ ქონება გაიყიდებოდეს განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის მეშვეობით, ან სანამ საჯარო ვაჭრობა დაიწყებოდეს, გაყიდვა არ მოხდება, და აწერილ ქონებას შეკვრა მოეხსნება.

შენიშვნა. უკეთუ მენარჩენის მიმართ, რომელმაც ქონების გაყიდვამდე ნარჩენი გადაიხადა, არის ამა წესების 64 მუხლით გათვალისწინებული სხვა პრეტენზია, ამა წესების მე-3 მუხლში აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირნი გაუგზავნიან სათანადო ცნობას პრეტენზიის განმცხადებელ პირთ, ხოლო აწერილ ქონებას შეკვრა არ მოეხსნება.

64. ქონების გაყიდვით მიღებული თანხა განაწილდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309-313 მუხლებში გათვალისწი-

ნებული წესის დაცვით, თანაც პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნეს გადახდევინების ხარჯი.

65. უკეთუ ქონების გაყიდვით მიღებული თანხა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დაიფაროს ნარჩენი საურავით და გადახდევინების ხარჯის დასაფარავად დარიცხული თანხა, იმის გამოანგარიშებისათვის, თუ რა ნაწილი უნდა იქნეს შეტანილი ხაზინის შემოსავალში ნარჩენისა და საურავის დასაფარავად, და რა ნაწილი უნდა იქნეს მიქცეული გადახდევინების ხარჯის დასაფარავად, გაყიდვით მიღებული თანხა გაიყოფა სათანადოდ 101 ან 105 ნაწილად (მუხ. 8), საიდანაც 100 ნაწილი მიიქცევა ნარჩენისა და საურავის დასაფარავად, ხოლო დანარჩენი—გადახდევინების ხარჯის დასაფარავად.

66. ქონების გაყიდვით მიღებული მთელი თანხა შეიტანება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ორი განცხადებით: ერთი განცხადება—ანგარიშსწორების ბლანკის დაწესებული ფორმით—იმისათვის, რომ ხაზინის შემოსავლად ჩაირიცხოს თანხა, რაც მიქცეულ უნდა იქნეს ნარჩენის და საურავის დასაფარავად, და მეორე განცხადება—იმისათვის, რომ გადახდევინების ხარჯის დასაფარავად დარიცხული თანხა ჩაირიცხოს სათანადო საფინანსო ორგანოების სადეპოზიტო მიმდინარე ანგარიშზე; ამასთანავე ორივე შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ის პირები, რომელთა ქონებაც გაყიდულია.

67. ქონების გაყიდვით შეუვსებელი ნარჩენი ჩამოიწერება ანგარიშიდან გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 38 მუხლის წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 410-ბ) უკეთუ მენარჩენეს ამა წესების 59 მუხლში აღნიშნული ვადის გასვლისას არ აღმოაჩნდა სხვა რამ ქონება, რომელზედაც შეიძლება მიქცეულ იქნეს შეუვსებელი ნარჩენის გადახდევინება; ხოლო თუ სხვა ქონება არის, შეუვსებელი ნარჩენი გადახდევინებულ იქნება ამ ქონებიდან დადგენილი წესისამებრ.

68. საურავი და პროცენტი იმ ნარჩენისა, რაც დაფარულ იქნება საჯარო ვაჭრობაზე ქონების გაყიდვით ან მისი რეალიზაციით სამეურნეო წესისამებრ, დარიცხულ უნდა იქნეს მენარჩენის ქონების გაყიდვის დღემდე, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე ერთი თვისათვის ქონების აწერის შემდეგ.

შენიშვნა. უკეთუ სასამართლო ორგანოში შეტანილ იქნა საჩივარი იმის შესახებ, რომ აწერილობა სწორედ არ არის შედგენილი, რასაც შედეგად მოჰყვა ქონების გაყიდვის შეჩერება სასამართლოს განკარგულებით, და ეს საჩივარი დაკმაყოფილებულ არ იქნა, საურავი დარიცხულ უნდა იქნეს მენარჩენის ქონების გაყიდვის დღემდე, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე ერთი თვისათვის აწერილობის შედგენის დროიდან, იმ დროის მიმატებით, რომლის განმავლობაშიაც ქონება სასამართლოს განკარგულების გამო არ შეიძლება გაყიდული ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. საფინანსო ორგანოების მოქმედების განსაჩივრება.

69. საჩივარი საფინანსო ორგანოთა და თანამდებობის პირთა არასწორად მოქმედების თუ განკარგულების გამო ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის დროს შეიძლება შეტანილ იქნეს გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 42 მუხლის წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 410-ბ), საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს ქონების აწერას, შეკვრას და გაყიდვას, უკეთუ ამის შესახებ არ იქნა იმ ორგანოს განკარგულება, სადაც შეტანილია საჩივარი.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

წესებისა გადასახადების და არასაგადასახადო გადასახდელის მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის შესახებ.

32 მუხლის „ა“ პუნქტისათვის.

წ ე ს ე ბ ი

საფონდო და სავალუტო ფასეულობის რეალიზაციის შესახებ.

1. ნარჩენის გადახდევინების წესით ჩამორთმეული ობლიგაციები მასობრივი სახელმწიფო სესხისა ნარჩენის დასაფარავად არ ჩაირიცხება, არამედ მიიღება მხოლოდ მისი გადახდის უზრუნველსაყოფად, ისე რომ, უკეთუ ობლიგაციამ მოიგო ან დახსნის ტირაჟში გავიდა, ამ ობლიგაციით მიღებული თანხა მიიქცევა ნარჩენის დასაფარავად.

2. ნარჩენის გამო ჩამორთმეული ოქროს, ვერცხლის ან პლატინის ფული, რევოლუციამდე მოჭრილი, აგრეთვე ძვირფასი ლითონი შლიხად, ზოდებად თუ ნამტვრევად გადაეცემა, არა უგვიანეს მეორე დღისა ჩამორთმევის შემდეგ, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებას, რომელიც დაუყოვნებლივ გადაიხდის მის საფასურს სახელმწიფო ბანკის მიერ ამ ფასეულობისათვის დადგენილი ნასყიდობის ფასის მიხედვით.

3. უცხოეთის ვალუტა ფულად, ბანკნოტებად და ჩეკებად, აგრეთვე ძვირფასი ლითონისა, ძვირფასი თვალისა და მარგალიტის ნაკეთობა გადაეცემა იმავე ვადაზე სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებას და გაიგზავნება ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბანკის გამგეობაში, რომელიც გადაიხდის საფასურს არა უგვიანეს ორი თვის ვადისა.

4. ნარჩენის გამო ჩამორთმეული ნაკეთობა ძვირფასი ლითონისა, ძვირფასი თვალისა და მარგალიტისა, რასაც სპეციალური ექსპერტიზა სცნობს სამუზეუმო ან სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე სიძველედ და ხელოვნების საგნად და რაც სპეციალურად აღნუსხულ უნდა იქნეს, გადაეცემა უსასყიდლოდ საქართველოს სსრ სამუზეუმო ან სამეცნიერო დაწესებულების გამგებლობაში, ხოლო ნარ-

ჩენი ჩამოიწერება ამ საგნების ღირებულების რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს ექსპერტიზა და დაამტკიცებს საფინანსო განყოფილების გამგე.

ამა მუხლში აღნიშნული ფასეულობისათვის მენარჩენეს შეიძლება გაესწოროს ანგარიში, საფინანსო განყოფილების გამგისა და სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი დაწესებულების მმართველის პასუხისმგებლობით, ექსპერტიზის მიერ წინასწარი შეფასების აქტის მიხედვით.

35 მუხლის შენიშვნისათვის.

ნ უ ს ხ ა

იმ საგნებისა, რომელნიც აუცილებლად რეალიზებულ უნდა იქნენ განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა მეშვეობით.

ტყავის ნედლეული, მატყლი, ქულა, ბამბა, ყველა მთრიმლავი მასალა, ქერქეული, სელი, ბამბა, ნართი, ძაფი, აბრეშუმი, ხრალეული კულტურები, მთლად უტილი ყველა ქიმიკატი და მასალა სატყავეულო, საფეიქრო და საბამბეულო წარმოებისათვის, ნავთის ყველა პროდუქტი, ქვანახშირი, კოკსი, ტორფი, ქიმიის ყველა პროდუქტი (მათ რიცხვში—საღებავებიც), შირ-აბზესტის ტექნიკური ნაკეთობა და მასალა, ხელსაწყო და ნაწილები, ლითონი კეთებაში და არაკეთებაში, ელექტრონის გაწყობილობა და საგნები, კომუნალური გაწყობილობა, მეტისები, მადანი, ნავჭურჭელი, საშენი მასალა, ხე-ტყის მასალა, ქიმიურ-ფარმაცევტული მასალა და ნაკეთობა, საცხები ნარევი, ტარა, ყოველგვარი ბურღული, სიმინდი, მაკარონი, სელისა, მზეუჭვრიტას, ბამბისა და სოიას ზეთი, კარაქი, თამბაქო-წეკოს ნედლეული, ხორბლისა და ჭვავის ფქვილი, სამეურნეო საპონი, ყოველგვარი ხორცი და ქონი, ჭვავი, შვრია, ქერი, ბურღულისა და პარკოსანის მარცვალი, ბრინჯი, ფრთა და ბუმბული (საექსპორტო), ფრინველი და გარეული ცხოველები, ცოცხალი ოთხფეხი საქონელი, ყოველგვარი თევზი, შაქარი, ზეთისხილის თესლი, კვერცხი დიდი და მცირე, მეთევზეობის რაიონებში—თევზსაჭერი იარაღი (მათ რიცხვში—ბადე), სალომასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

292. ნ უ ს ხ ა

სხვადასხვა სახის ქონებისა, რომელზედაც გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.

I. განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება.

1. გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ისეთ ქონებაზე, როგორიც არის:

ა) სახელმწიფო ქონება, რისი გასხვისებაც კანონის თანახმად არ შეიძლება (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლი);

ბ) კოოპერატიული და საკოლმეურნეო სამრეწველო და სარეწაო საწარმო (სადგომი, გაწყობილობა, იარაღი);

გ) სარეწაო-კოოპერატიული ორგანიზაციის განუყოფელი ფონდი და კოლმეურნეობისა და სამრეწველო კოლმეურნეობის განუყოფელი და საზოგადოებრივი ფონდები, კაპიტალური მშენებლობის ფონდი, სათესლე და სადაზღვეო ფონდები;

დ) ნედლეული და სათბობი, რაც საჭიროა საწარმოს მუშაობისათვის სამი თვის განმავლობაში;

ე) საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა;

ვ) სასოფლო-სამეურნეო უსულო ინვენტარი იმდენი, რამდენიც საჭიროა ამა ოუ იმ მეურნეობის საწარმოო გეგმის შესასრულებლად;

ზ) აუკრეფავი მოსავალი;

თ) თესლი იმდენი, რამდენიც საჭიროა დასათესად მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს, მე-2 მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნული ანგარიშით;

ი) ოთხფეხი საქონელი იმდენი, რამდენიც საჭიროა მეურნეობის საწარმოო გეგმის შესასრულებლად;

კ) საქონლის საკვები იმდენი, რამდენიც საჭიროა საკვების ახალ მოსავლამდე, მე-2 მუხლის „ე“ პუნქტში აღნიშნული ანგარიშით;

ლ) კოოპერატიული ორგანიზაციის საპაიო შენატანი ზემდგომ კოოპერატიულ ორგანიზაციაში;

მ) საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციისა და დაწესებულების შენატანი სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი საწარმოს დაკრედიტების ფონდში—სოციალისტური მიწათმოქმედების დაფინანსების ბანკში—და აგრეთვე უპროცენტო ანაბარი აღნიშნულ ფონდში;

ნ) სადაზღვეო საზღაური, რაც მენარჩენეს სავალდებულო დაზღვევით ერგება;

ო) კოლმეურნეთა შორის გასანაწილებელი ნაწილი კოლმეურნეობის სასურსათო პროდუქციისა ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა კოლმეურნეობის მათ რჩენაზე მყოფ პირთა უზრუნველსაყოფად შემდეგი წლის მოსავლის განაწილებამდე, მე-2 მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული ანგარიშით;

პ) საბჭოთა მეურნეობის პროდუქცია, რაც გამოყოფილ უნდა იქნეს მუშათა საზოგადოებრივი კვებისათვის, იმდენი, რამდენიც საჭიროა სამი თვის განმავლობაში.

II. კერძო საწარმოთა და პირთა ქონება.

2. გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს კერძო საწარმოს და პირის (გარდა კულაკური მეურნეობისა და იმ პირისა, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მე-3 №-ის განრიგების თანახმად) ისეთ ქონებაზე, როგორიც არის:

ა) სასოფლო-სამეურნეო სულიერი და უსულო ინვენტარი ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის; ასეთია:

1) სულიერი ინვენტარი: ერთი ცხენი ან ერთი ჯორი, ან ერთი უღელი ხარი თუ კამეჩი, ან და სათანადო რაოდენობა სხვა სახის მუშა-საქონლისა; ერთი ძროხა, ერთი სული მოზარდი მუშა-საქონელი 3 წლამდე და ერთი ხბო 1 $^1/_2$ წლამდე; ბულები, უკეთუ ისინი გამოყენებული არიან საზოგადო ნახირისათვის;

სამესაქონლეო მეურნეობაში: 1) უკეთუ მეურნეობაში სამ მჭამელზე მეტი არ არის—შვიდი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ხოლო თუ მჭამელთა რიცხვი სამზე მეტია—თვითეულ მეურნეობაზე ათი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ან ამის თანაბარი რაოდენობა სხვა სახის ოთხფეხი საქონლისა, თანაც ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან საქონელს გაეთანაბრება ერთი ცხენი, ერთი ჯორი, ერთი აქლემი, ორი ვირი, ერთი უღელი ხარი ან კამეჩი და ექვსი სული წვრილფეხა საქონელი (ცხვარი, თხა); 2) მთლად მოზარდი ცხვარი და თხა;

2) უსულო ინვენტარი: ერთი გუთანი, ერთი კავი, ერთი ფარცხი, ერთი ურემი ან საზიდავი, ერთი მარხილი, შესაბმელობა და წვრილი ინვენტარი (ცელი, ნამგალი, ფოცხი, ორთითი, ნიჩაბი, ნაჯახი და სხვ.); ნადირობისა, თევზაობისა და სხვა რეწაობისათვის საჭირო სარეწაო იარაღი იმ მეურნეობაში, სადაც ასეთი რეწაობა შემოსავლის ძირითადი წყაროა;

ბ) საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა, რაც სოფლის მეურნეობის განუყოფელ კუთვნილებას შეადგენს;

გ) სასურსათო პროდუქტები იმ პირისათვის, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას, იმდენი, რამდენიც საჭიროა მენარჩენისა და მის რჩენაზე მყოფ პირთათვის ახალ მოსავლამდე, შემდეგი ანგარიშით თვითეულ სულზე თვეში: 16 კგ ფქვილი ან 18 კგ მარცვალი (სიმინდის და ქერის ფქვილის და მარცვლისათვის ნორმა გადიდდება 25%-ით), 18 კგ კარტოფილი, 2 კგ ბურღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი (ან 3 კგ ლობიო), 4 კგ ბოსტნეული ყველა სახისა (ან 4 კგ თევზი), 500 გ ცხიმეული (ან 2 კგ ნიგოზი) და 1,5 კგ მარილი;

დ) თესლეულობა იმდენი, რამდენიც საჭიროა დასათესად მიმდინარე სამეურნეო წელს, შემდეგი ანგარიშით ფაქტიურად დასათეს ერთ ჰექტარ მიწაზე: საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, შვრია და ქერი—თვითეული 180 კგ, ჭვავი—150 კგ, სიმინდი—36 კგ, კარტოფილი—1.500 კგ, ცერცვი, ლობიო, მუხუდო და ოსპი 120 კგ, გრეჩიხა—120 კგ, სოია—60 კგ, მზესუმზირას თესლი—22 კგ, აბუსალათინის თესლი 45 კგ, ფეტვი—30 კგ, კანაფის თესლი—120 კგ, სელის თესლი—90 კგ, ბამბის თესლი—60 კგ. კენაფის თესლი—30 კგ, იონჯას და სამყურას თესლი—20 კგ, ესპარცეტის თესლი—100 კგ და თამბაქოს თესლი—500 გ;

ე) საქონლის საკვები იმდენი, რამდენიც საჭიროა საკვების ახალ მოსავლამდე, შემდეგი ანგარიშით თვეში: ძროხისათვის—320 კგ თივა, ხარისათვის—480 კგ თივა, ხბოსათვის—208 კგ თივა, წვრილფეხა რქოსანი საქონლისათვის—48 კგ თივა, ცხენისათვის—240 კგ თივა და136 კგ შვრია, ქერი ან სიმინდი, კვიცისათვის—80 კგ თივა და 20 კგ შვრია, ქერი ან სიმინდი; ამასთანავე, თივის ნაცვლად შეიძლება იყოს სათანადო რაოდენობის ბზე და ჩალა, ფქვილის ან ქატოს არევით, ან სათანადო რაოდენობის დაკონცენტრირებული საკვებით;

ვ) აუკრეფავი მოსავალი, გარდა სამრეწველო ხასიათის ბოსტნისა, ბაღისა, ვენახისა, ხმილეულისა, თამბაქოს პლანტაციისა და ბაღჩის მოსავლისა;

ზ) წარმოების გაწყობილობა, ინსტრუმენტები, სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც საჭიროა იმ მენარჩენის პროფესიონალური მოსაქმეობისათვის, რომელიც მუშაობს დაქირავებული შრომის გამოუყენებლად, ან რომელსაც ჰყავს არა უმეტეს სამი დაქირავებული მუშისა, როგორიც არის: მჭედლისათვის—ქურა, საბერველი, გრდემლი, ურო, გაზი, ჭოპოსანი და სხვ.; ზეინკლისათვის—საზეინკლო დაზგა, ჩაქუჩი, გაზი, საკავშირებელი ლამპა, ქლიბი, მუხრუჭი, პრტყელტუჩა, საჭრეთელი და სხვ.; მლესავისათვის—სალესავი დაზგა; ხეროსა და დურგლისათვის—სადურგლე დაზგა, შალაშინი, ნაჯახი, ხელის ხერხი და ბირდაბირი, რანდა, ხვეწი, ჩაქუჩი, სატეხი და სხვ.; შინ მომუშავე ფეიქრისათვის—საფეიქრო ჩარხი; ტრიკოტაჟის მქსოველისათვის—საქსოვი მანქანა, ნართის ამოსახვევი დაზგა, ჩხირები და სხვ.; მკერავისათვის—საკერავი მანქანა, მაკრატელი და სხვ.; მეწაღისათვის—ჩაქუჩი, სადგისი, საწაღე დანა, გადასაჭიმი გაზი, კალაპოტი, არა უმეტეს ხუთი წყვილისა, კავი, არა უმეტეს ერთი წყვილისა, და სხვ., მეწაღე-გამომჭრელისათვის—გამოსაჭრელი მანქანა, მაკრატელი, საწაღე დანა და სხვ.; მუშებისათვის—ალმასი და ხვეწი; პარიკმახერისათვის—ს[illegible] სამართებელი, მაკრატელი, თმის საკრეჭი მანქანა, ს[illegible]პარსავი ხელსწყო და სხვ.; იმ პირისათვის, რომელიც ეწევა სასაზიდაო რეწვაობას—ორი ცხენი და ეკიპაჟი; სამეცნიერო და სამედიცინო დარგის მომუშავისათვის—სახელმძღვანელოები, წიგნები და ინსტრუმენტები, რაც შეეფერება თვითეული მათგანის მუშაობის ხასი-

ათს და სპეციალობას და საჭიროა მათთვის; კბილის ტექნიკოსისათვის—კბილის ტექნიკური ინსტრუმენტები; მუსიკოსისა და მომღერლისათვის—ნოტები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვ.; მხატვრისათვის—პალიტრა, ფუნჯები, მოლბერტი და სხვ.; მხაზავისათვის—დაფა, სახაზავი, საფარგლე და სხვ.; სხვა საგნები, რაც კი საჭიროა ზემოაღნიშნული და სხვა პროფესიონალური მუშაობის შესასრულებლად;

ამ პუნქტში აღნიშნული საგნები არ ჩამოერთმევა აგრეთვე იმ კატეგორიების პირთ (ზეინკლებს, დურგლებს, ექიმებს, მუსიკოსებს, მხაზავებს და სხვ.), რომელნიც მსახურობენ ან მუშაობენ დაქირავებით, და აგრეთვე მოსწავლეთ;

თ) ნედლეული და სათბობი იმდენი, რამდენიც საჭიროა საწარმოს მუშაობისათვის ორი თვის განმავლობაში;

ი) მენარჩენისა და მის რჩენაზე მყოფი პირისათვის საჭირო საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი, თეთრეული, ფეხსაცმელი და ოჯახში სახმარებელი სხვა საჭირო საგნები:

1) საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი: ერთ სულზე ერთი საზაფხულო ან საშემოდგომო პალტო ან ნაბადი; ერთი საზამთრო პალტო ან ქურქი (ტყაპუჭი); ერთი ხელი საზამთრო კოსტუმი (ქალისათვის—ორი საზამთრო კაბა); ერთი საზაფხულო კოსტუმი (ქალისათვის—ორი საზაფხულო კაბა); ერთი ყაბალახი, ერთი ფურაჟკა (შლაპა) და ერთი ქუდი, ხოლო ქალისათვის, ამის გარდა, ორი საზაფხულო თავსახვევი და ერთი თბილი მოსახვევი (ან შალი);

2) თეთრეული—სამი ხელი ერთ სულზე;

3) ერთი წყვილი ტყავისა და ერთი წყვილი ნაბდის ფეხსაცმელი ერთ სულზე;

4) ოჯახში სახმარებელი საგნები: ა) ერთ სულზე—ერთი სასადილო ხელსაწყო (თეფში, ჩანგალი, დანა და კოვზი) და ერთი საჩაიე ხელსაწყო (ჭიქა ან ფინჯანი და ლამბაქი), ერთი სკამი (ტაბურეტი), ერთი ხელი ლოგინი (ლეიბი, ბალიში, ორი ზეწარი, ორი ბალიშის პირი, საბანი), ერთი საწოლი, ორი პირსახოცი; ბ) ერთ ოჯახზე—სამოვარი (ჩაიდანი ან თუჯის რამ ჭურჭელი წყლის ასადუღებლად), პრიმუსი ან კეროსინკა, ლამპა, სასადილო მაგიდა, ორი სუფრა, ორი ჩაის ტილო, ორი ჭურჭლის ტილო, ორი ვედრო ან ორი კოკა, ერთი სკივრი ან მისი მაგიერი სხვა რამ ტანისამოსის შესანახად და სამხარეულოსათვის აუცილებლად საჭირო საციქველი (ქვაბები, თუჯის ჭურჭელი, ქვაბსაჭერი, ჩეკი, თუჯის ტაფა და სხვ.);

კ) სათბობის მარაგი, რაც საჭიროა საჭმლის მოსახარშავად და საცხოვრებელი სადგომის გასათბობად სამი თვის განმავლობაში;

ლ) კოოპერატიული ორგანიზაციის წევრის საპაიო შენატანი;

მ) თანხა სადაზღვეო საზღაურისა, რაც მენარჩენეს სავალდებულო დაზღვევით ერგება, და აგრეთვე სოციალური დაზღვევის ან სოციალური უზრუნველყოფის წესით მიცემული თანხა.

3. როდესაც გადასახდელი უნდა გადახდეს კულაკურ მეურნეობას ან იმ პირს, რომელიც საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგებით იბეგრება, გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს მხოლოდ მენარჩენისა და მის—ჩენაზე მყოფი პირისათვის საჭირო საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსზე, თბილ-რეულზე, ფეხსაცმელზე და ოჯახში სახმარებელ სხვა საჭირო საგნებზე, რაც აღნიშნულია ამა ნუსხის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტში.

---

293. წ ე ს ე ბ ი

გადასახადისა და ჯარიმის გადაუხდელობისათვის კერძო საწარმოთა დახურვის შესახებ.

1. ამა წესებით დადგენილია წესი კერძო საწარმოთა დახურვისა გადასახადის და ჯარიმის გადაუხდელობისათვის, მათ რიცხვში—სარეგისტრაციო მოწმობის ასლის აუღებლობისათვის კანონით დადგენილ ზადაზე (გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 15 მუხლის „დ“ პუნქტი—სსრკ. კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 410-ბ).

2. საწარმოს დახურავს გადასახადთა ინსპექტორის განკარგულებით:

ა) ქალაქად—გადასახადთა აგენტი;

ბ) სოფლად—სასოფლო საბჭო.

3. გადასახადთა აგენტი (სასოფლო საბჭო), როდესაც იგი მიიღებს გადასახადთა ინსპექტორის განკარგულებას საწარმოს დახურვის შესახებ, დახურავს საწარმოს შესასვლელის დაბეჭდვით ან სხვა საშუალებით, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით ცნობილ იქნება მიზანშეწონილად, რომ საწარმოში შეწყდეს რეწაობა თუ ვაჭრობა.

შენიშვნა. უკეთუ სადგომში სხვა საწარმოა, ან იქ ცხოვრობს თვით მენარჩენე და სხვ., რის გამოც სადგომის დაბეჭდვა შეუძლებელია, მენარჩენეს ჩამოერთმევა ხელწერილი, რომ მას აკრძალული აქვს რეწაობა თუ ვაჭრობა, ხოლო მის ხელთქონებული საქონელი შეიკვრება.

4. საწარმოს დახურვის შესახებ შესდგება განსაკუთრებული აქტი, რომელიც დაუყოვნებლივ წარედგინება სათანადო გადასახადთა ინსპექტორს.

5. უკეთუ საწარმოს პატრონი უარს იტყვის მიუშვას გადასახადთა აგენტი (სასოფლო საბჭო) საწარმოს დასახურავად, სადაც რეწაობა თუ ვაჭრობა სწარმოებს, მიწვეულ უნდა იქნეს მილიციის წარმომადგენელი.

6. საწარმოს დახურვის აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) აქტის შემდგენელის გვარი, სახელი, მამის სახელი, და თანამდებობა;

გ) საწარმოს პატრონის გვარი, სახელი და მამის სახელი, ან ფირმა;

დ) საწარმოს დახურვის მიზეზი: გადასახადის გადაუხდელობა (უნდა აღინიშნოს—რომელი გადასახადის, აგრეთვე გადასახადის თანხა და საგადასაგადო პერიოდი) ან სარეგისტრაციო მოწმობის ასლის აუღებლობა;

ე) საწარმოს პატრონის, ხოლო უკეთუ იგი არ არის ან ~~ხელმოწერაზე~~ უარს ამბობს,—ერთი მოწმის და აქტის შემდგენელის ხელმოწერა.

7. მენარჩენის საჩივარი საწარმოს დახურვის გამო შეიტანება სათანადო სარაიონო ან საქალაქო საფინანსო განყოფილებაში და გადაწყდება სამი დღის ვადაზე.

8. იმ ნარჩენის დაფარვისას, რომლის გადაუხდელობისათვის საწარმო დახურულ იქნა, ან ამა წესების მე-7 მუხლში აღნიშნული საჩივრის დაკმაყოფილებისას, საგადასახადო ორგანო თუ სასოფლო საბჭო დაუყოვნებლივ მოხსნის ბეჭედს დახურულ სადგომს ან გააუქმებს რეწაობის თუ ვაჭრობის აკრძალვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

მთავლიტი № 1998. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა შეკ. № 1899 ტირაჟი 2.000